მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

30 მარტი, 2023
№ 23/02-389

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მოგმართავთ ჩვენი 2023 წლის 7 მარტის #23/02-386 წერილით წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე. როგორც მოგეხსენებათ ჩვენი საჩივრით ვითხოვდით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების (ე.წ. ვირტუალური აქტის) გაუქმებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნა - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან ინფორმაციის გადმოცემის მომენტამდე მომზადებული გარემოს დაბინძურების შესახებ წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვებისა და ცნობების გადმოცემის შესახებ და მოთხოვნილი ინფორმაციის გადმოცემას.

პირველ რიგში, შემაშფოთებელია, რომ სამართლებრივი დავა გვჭირდება გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც არათუ დაუყოვნებლივ უნდა იყოს ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, არამედ პროაქტიულად უნდა ქვეყნდებოდეს.

მეორეს მხრივ, გაუგებარია რა პროცედურას მისდევს სააგენტო ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას. ნათელია, რომ ზოგადი ადმინისტარციული კოდექსით დადგენილი პროცედურა არ არის სააგენტოსათვის სახელმძღვანელო. ჩვენს საჩივარზე პასუხად 2023 წლის 21 მარტს მივიღეთ სააგენტოს #21/1816 წერილი, რომლითაც გაურკვეველი მიზნით, ვრცლად განგვემარტა რა არის 'ადმინისტრაციული საჩივარი' და რა არის 'საჯარო ინფორმაცია'. ასევე ვრცლად და განმეორებით მოგვეწოდა განმარტება მომზადების პროცესში არსებული დოკუმენტების არ გადმოცემის მიზეზების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტს სადაოდ არ ვხდით, რაღა თქმა უნდა. საბოლოოდ საჩივრის მოთხოვნასთან დაკავშირებით კი გვეცნობა: „სააგენტოსათვის არ არის ცნობილი და არც შესაბამისი დოკუმენტაცია ყოფილა წარმოდგენილი რომლითაც დადასტურდებოდა ნებისმიერი დაინტერესებული პირის, მათ შორის ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"-ს უფლებისა და სააგენტოს ვებ-გვერდსა და ჰაერის პორტალზე (www.nea.gov.ge) (www.air.gov.ge) წვდომის შეზღუდვა".

გაუგებარია, რა ტიპის მტკიცებულებას ითხოვს ჩვენგან სააგენტო. ამიტომ, გთხოვთ, გვირჩიოთ, რა ფორმით შეგვიძლია დავარწმუნოთ სააგენტო, რომ არც სააგენტოს ვებ-გვერდზე და არც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე არ ქვეყნდება გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიშები. ამასთან არ შეესაბამება სიმართლეს მტკიცება, რომ სააგენტოსთვის არ იყო ცნობილი ანგარიშებზე წვდომის პრობლემების თაობაზე; ჯერ კიდევ 2022 წლის 1 აპრილის № 21/02-354 წერილით (გთხოვთ, იხილოთ თანდართული) ვაცნობეთ აღნიშნულის თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელს, ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს.

საბოლოოდ, აღნიშნული წერილით გადმოგვეცა მოთხოვნილი ინფორმაცია კომპაქტური დისკის მეშვეობით; თუმცა სააგენტო ჯიუტად ამტკიცებს, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მის ვებ-გვერდზე. ამიტომ, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის საკითხი და თუკი, ეს ინფორმაცია მართლაც არის სააგენტო ვებ-გვერდზე განთავსებული და ჩვენ ვერ ვახერხებთ მის მოძიებას, გთხოვთ, გაგვიზიაროთ დოკუმენტებზე ბმული.

აქვე, გაცნობებთ, რომ ერთდერთი დოკუმენტი, რომელიც განთავსებულია air.gov.ge-ზე - ‘ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების პროგნოზი 2020, 2025, 2030 წლებისთვის’, სავარაუდოდ დაზიანებულია, არ იკითხება.

დანართი: 2 ფურცელი

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

Nino Gujaraidze

From: ngujaraidze@greenalt.org
Sent: პარასკევი, 01 აპრილი, 2022 17:07
To: 'info@nea.gov.ge'
Subject: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე

Importance: High

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ წერილის მიღება და გამოგვიგზავნოთ სააგენტოში განცხადების რეგისტრაციის ნომერი.

№ 21/02-354
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

ჩვენი თქვენი 2022 წლის **10 მარტის** წერილის პასუხად, რომლითაც ვითხოვთ 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში გარემოს დაბინძურების კვლევისათვის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, მხოლოდ **30 მარტს** მივიღეთ თქვენი პასუხი, სადაც გვირჩევთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ მონაცემების http://air.gov.ge/-ზე, ხოლო ნიადაგის, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საინფორმაციო ბიულეტენებსა და წელიწდეულებში ნახვას, რომელსაც თურმე სააგენტო აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

პირველ რიგში, ვწუხვართ გაცნობოთ, რომ სააგენტო არ აქვეყნებს ამ ინფორმაციას უკვე დიდი ხანია. თუკი ადრე პრობლემა იყო ბიულეტენების დროულად გამოქვეყნება, ახლა საერთოდ არ ქვეყნდება, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს რებრენდირებულ გვერდს აქვს ეს ფუნქცია - ბიულეტენები იქ უბრალოდ არ არის განთავსებული.

მეორეს მხრივ, რომც ქვეყნდებოდეს ბიულეტენები, დარწმუნებული ვართ, როგორც იურისტს კარგად მოგეხსნებათ, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

ამასთან, არ ვართ დარწმუნებული, რომ ბიულეტენებში სრულფასოვნად ხვდება კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, გადმოგვცეთ 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში გარემოს დაბინძურების კვლევისათვის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია. გთხოვთ, განცხადება განიხილოთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პროცედურისა და ვადების დაცვით. კერძოდ, გთხოვთ:

1. მოთხოვნილი ინფორმაცია გადმოგვცეთ დაუყოვნებლივ, როგორც ამას ითვალისწინებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი;
2. თუკი, მოთხოვილი ინფორმაციის გადმოცემისთვის საჭიროა ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიება და დამუშავება; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაცია - რასაც, იმედი გვაქვს არ ექნება ადგილი, გთხოვთ, ამის შესახებაც დაუყოვნებლივ გვაცნობოთ, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მეორე ნაწილი;

3. თუკი, უარს გვეუბნებით საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე, გთხოვთ ამის შესახებაც გვაცნობოთ დაუყოვნებლივ, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი და განგვიმარტოთ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მეორე ნაწილი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული
ტელ.: (+99532) 222 38 74
www.greenalt.org